საქართველოს მთავრობის

დადგენილება №485

2025 წლის 31 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2025 წლის 3 სექტემბრის №952-IVმს-XIმპ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 04/06/2019, 330090000.10.003.021278) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითად დებულებებში“:

1. 1^1 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^2 მუხლი:

„**მუხლი 1^2.** კოდექსის 141^{10} მუხლით გათვალისწინებული საბაზისო-თემატური გეგმა, საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, მოიცავდეს ძირითადი დებულებებით დადგენილ მოთხოვნებსა და წესებს.“.

2. 49-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში განაშენიანების დეტალური გეგმით შესაძლებელია ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაზუსტება, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 4 ნოემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**